Building inscriptions from the Skri valley
სამშენებლო წარწერები სკრის ხეობიდან

DAVID CHOCHISHVILI
Doctor of History,
AS.Professor of Gori State University
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

Abstract. The Historical Geographical study of Shida Kartli is connected with the name of the great Georgian Historian and Geographer Vakhushti Batonishvili. Vakhushti Batonishvili begins his description of Satsitsiano with a description the Gorge of Skra and writes: "There is a Gorge Skra in the west of Gorijvari, and it is connected to Mtkvari in the south. To the west of this Gorge is the valley of Khvedureti. It comes out the mountain of Satskhene and joins Mtkuari from the south. And these two valleys are fertile and fruitful.... the wine here is the best of all the wines of Kartli, and the most of all the wines of Ateni; The abundance of cattle is gentle.... The air is kind And the plains of the mountains, as described by the mountain, with fruits and cattle" (Life of Kartli). Ekvtime Takaishvili traveled to valley of Skra in 1896, described the historical monuments and together with other materials published.(In the collection, pages 59-65 the Gorge of Skra are separated.) Among the mentioned monuments, the church built the name of the Virgin Mary in the village of Koshkebi is important. which consists of two parts - one, the older hall building belongs to the 9th century, and the other building was built by the owners of this valley Shalikashvili, as their own tomb and an inscription was added to it. The old part of the monument is currently damaged, but the inscription and inscription of the Shalikashvili family have been preserved.

Key words: The Gorge of Skra, Shalikashvili, Church of the Virgin Mary, construction inscription

დავით ჩოჩიშვილი
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
ch.daviti67@gmail.com
+995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

აბსტრაქტი. დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, ვახუშტი ბატონიშვილის სახელთანაა დაკავშირებული შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა. საციციანოს აღწერას ვახუშტი ბატონიშვილი სკრის ხეობის (გორის მუნიციპალიტეტი) აღწერით იწყებს და წერს: ,,დასავლით გორიჯურისა არს ხევი სკრისა, და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. ამ ხეობის დასავლით არს ხუედურეთის ხეობა. გამოსდის საცხენისის მთას და მიერთვის სამხრიდამ მტკუარს. და არიან ესე ორნი ხეობანი

ვენახოვანნი, ხილიანნი....აქაური ღვინო უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა; პირუტყვთა სიმრავლე თვინიერ.... ჰაერი კეთილი და შემკული, და მთათა დაბნები ეგრეთნი, ვითარცა მთისანი დავსწერენით, ნაყოფითა და პირუტყვითა“ (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, 344). სკრის ხეობაში ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა 1896 წელს, აღწერა ისტორიული ძეგლები და სხვა მასალებთან ერთად გამოსცა[1]. (კრებულში ცალკეა გამოყოფილი სკრის ხეობა 59-65 გვერდები). აღწერილი ძეგლებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სოფელ კოშკების ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება-ერთი, უფრო ძველი დარბაზული ნაგებობა მე-9 საუკუნეს მიეკუთვნება, ხოლო მეორე ნაგებობა ამ ხეობის მფლობელმა შალიკაშვილებმა საკუთარ საძვალედ ააგეს და ზედ წარწერაც დაურთეს. ძეგლის ძველი ნაწილი ამჟამად დაზიანებულია, შალიკაშვილების ეკვდერი და წარწერა კი შემორჩენილია.

საძიებო სიტყვები: სკრის ხეობა, შალიკაშვილები, ღვთისმშობლის ეკლესია, საამშენებლო წარწერა,

შესავალი. საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყება რამდენიმე ადამიანის სახელს უკავშირდება. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც პროფესიულ არქეოლოგიურ სამუშაოებსა და ძეგლთა აღწერილობას აწარმოებდა, ექვთიმე თაყაიშვილი იყო. ის იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ათწლეულში, რომელიც ,,არქეოლოგთა კომისიის“ ოფიციალური დავალება-ნებართვით თხრიდა საქართველოში (ექვ. თაყაიშვილი, 1968, 347). ,,არქეოლოგთა კომისია“ იყო უფლებამოსილი ორგანო, რომელიც იძლეოდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოების უფლებას და გასცემდა ე.წ. ღია ფურცელს“. სწორედ ამ ,,ღია ფურცლის“ ძალით იმუშავა ექვთიმე თაყაიშვილმა ტფილისის გუბერნიაში, სკრის ხეობაში 1896 წელს. მის მიერ აღწერილი ძეგლების მონაცემები იმდენადაა საინტერესო, რომ 1920 წლის გორის ცნობილმა მიწისძვრამ მრავალი ძეგლი დააზიანა და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის მონაცემებითაა შესაძლებელი. მეცნიერი სკრის ხეობის შესახებ წერს: ,,ვიპოვეთ ორი თიხის კუბო, გრეხილებით შემკობილი და საზოგადოდ ლამაზი ხელობისა... თიხის კუბოები მცხეთაშიც არის ნაპოვნი... მაგრამ სკრაში ნაპოვნი კუბონი ხელობით ბევრათ უფრო ლამაზი არიან მცხეთისაზე“ (თაყაიშვილი ე. 1907, გვ.59).

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, კონტენტ-ანალიზი.

შედეგები. სკრის ხეობაში თავად შალიკაშვილების მოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ რამდენიმე საკულტო ძეგლი აშენდა ან გადაკეთდა. ამ ძლიერმა გვარმა თავის საძვალედ შეარჩია ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ კოშკებში (სკრის თემი) და უკვე არსებულ IX საუკუნის დარბაზულ ეკლესიას XVIII საუკუნეში ედიშერ შალიკაშვილმა მიაშენა სამრეკლო, კარიბჭე და საკუთარი საძვალე. ეკვდერის შესასვლელს მხედრული წარწერა აქვს დატანებული, რომელიც ამ ნაგებობის შალიკაშვილებისადმი კუთვნილებას ადასტურებს. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ამ ადგილზე სასაფლაო იყო, შალიკაშვილებმა შეისყიდეს და მხოლოდ ამის შემდეგ ააგეს ეკვდერი. შალიკაშვილების მიერ სკრის ხეობის ფლობა სხვა ეკლესიასა და სასაფლაოებზე არსებული წარწერებითაც დასტურდება.

[1] თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ., 1, ტფ., 1907.

სკრის ხეობა თავდაპირველად ჯავახიშვილების საკუთრება ყოფილა. შემდეგში ეს სოფელი შაჰნავაზმა (ვახტანგ V-ქართლის მეფე (1658-1675წწ.) შალიკაშვილებს უბოძა. ამ გვარის წარმომადგენელს როჭიკა შალიკაშვილს ბოქაულთუხუცესის თანამდებობა ეკავა. შემდეგში ნაზარალიხანმა (ერეკლე I-ქართლის მეფე (1688-1703წწ.) ეს მამული ფარსადან ჯავახიშვილს გადასცა. იბაშერ შალიკაშვილმა (ედიშერის ბიძამ), რომელიც ბოქაულთუხუცესი იყო, სოფელი სკრა ფარსადანისგან გამოისყიდა. თანხის გადახდის შემდეგ სკრის ყველაზე ძველ მეპატრონეს ზურაბ ჯავახიშვილს პირობის წიგნი გამოართვა მამულზე უდაობის პირობით. ამრიგად სკრის ხეობა შალიკაშვილებისათვის ძვირფასი მამული იყო და ცდილობდნენ ყველანაირი გზით შეენარჩუნებინათ და მასზე პატრონობის უფლება განემტკიცებინათ.

დისკუსია. XVI საუკუნიდან ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ იწყება შალიკაშვილების, ავალიშვილების, დიასამიძეთა და სხვა ფეოდალური საგვარეულოების გადმოსახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის, შიდა ქართლშიც. ისინი ოსმალების ბატონობიდან თავის ასარიდებლად ყმებითა და ქონებით მოდიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მკვიდრდებიან. სხვა საგვარეულოებთან ერთად შალიკაშვილები მოხსენიებულნი არიან 1516 წელს შედგენილ მცხეთის საკათალიკოსოში შემავალ სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიაში. შალიკაშვილთა სათავადო ღირსება აღიარებულ იქნა ქართლის მეფეების ლუარსაბ II (1606-1615წწ.) და ვახტანგ VI (1703-1724წწ.) მიერ 1611 და 1724 წლებში გამოცემული სიგელებით. სამცხიდან მოსული ქართლის თავადები შალიკაშვილები იხსენებიან იმ თავად-აზნაურთა სიაშიც, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე მეორემ 1783 წელს წარუდგინა რუსეთის საიმპერიო მთავრობას.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიისთვის მიერთების შემდეგ რუსეთის სენატმა სხვა ქართველ თავად-აზნაურთა გვერდით ოფიციალურად აღიარა შალიკოვების (შალიკაშვილების) სათავადო ღირსება, ხოლო მოგვიანებით, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ კვლავ აღიარა ამ გვარის პატივი. შალიკაშვილების ერთი საგვარეულო შტო, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ თავადი ედიშერ პაპუნას ძე[1] და მისი შვილები დიმიტრი და დავითი, 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვნენ ემიგრაციაში და ასტრახანში დასახლდნენ, შემდეგ მოსკოვში გადავიდნენ და მრავალი ცნობილი ადამიანი მისცეს იმპერიას. სწორედ ამ ედიშერ შალიკაშვილმა[2] ააგო საგვარეულო საძვალედ სოფელ კოშკებში აღნიშნული ეკვდერი. იგი მსხვილი ქართველი თავადი იყო და სამეფო კარზე საკმაოდ მაღალი თანამდებობაც ეკავა. იყო ნაზარალიხანის კარის მდივანი, მეფის ქარხნის ნაზირი. ნაზარალიხანმა მას განუახლა სადედოფლოს მდივნობისა და მეფის ქარხნის ნაზირობის წყალობა. მას უნდა აღერიცხა ყოველდღიური შემოსავალ-გასავალი და მორჩილებაში ჰყოლოდა თავლიდარი (გამგეთუხუცესი) და ამალა. ედიშერს უწყალობა აგრეთვე სომხით-საბარათაშვილოს კოდისპურის მკრეფელობა, დაუნიშნა ჯამაგირი-თორმეტი თუმანი (პალ. 2015, გვ.109-110).

როგორც ცნობილია, შალიკაშვილების სათავადო მამულები ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა.[3] მისი საზღვრები სხვადასხვა დროს იცვლებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სადროშო 15 სათავადოს ითვლიდა და ერთ-ერთი მათგანი შალიკაშვილების სათავადოც იყო, რომელიც საუკუნის პირველ ნახევარში ზემო ქართლის

---

[1] პაპუნა შალიკაშვილი როჭიკას ძე მსხვილი ფეოდალი იყო. შაჰნავაზმა მას უწყალობა ჯავახიშვილების ნაქონი მამული სკრაში. მას ჰყავდა ექვსი ვაჟი: იბაშერ, ედიშერ, როსტომ, ზაალ, პაატა, გიორგი.

[2] ედიშერ პაპუნას ძე და ანნა (ანუკი) ზაალის ასული შალიკაშვილები ოჯახთან ერთად 1724 წელს თან გაჰყვნენ მეფე ვახტანგ მეექვსეს რუსეთში.

[3] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (1964), წ. I, თბილისი

შემადგენლობაში არ შედიოდა. ეს სადროშო, რომელსაც ამილახვრები მეთაურობდნენ, ასრულებდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ფუნქციას. სახელმწიფოში აღწერები და ჯარის მობილიზება სწორედ სადროშოების მიხედვით ხდებოდა. მასში შემავალი სათავადოები ვალდებულნი იყვნენ, საჭიროების შემთხვევაში ჯარიც გამოეყვანათ და გადასახადებიც აეკრიფათ.

ისტორიული ძეგლი, რომელიც სოფელ კოშკების ტერიტორიაზე დგას და რომელიც დიდმა მოგზაურმა მოინახულა და აღწერა, მდებარეობს სოფლის ცენტრში. ადგილობრივები მას ღვთისმშობელს ანუ ღვთისმშობლის ეკლესიას უწოდებენ. ის, რომ ეკლესია ღვთისმშობლის სახელზეა აგებული, ამას საკურთხეველის თავზე შემორჩენილ კამარაზე გამოსახული ღვთისმშობლის ფრესკაც ადასტურებს. დღემდე 21 სექტემბერს (ახალი სტილით), დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნება ღვთისმშობლობა. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს დღეობა სოფელში მის დროსაც აღინიშნებოდა და მასობრივ ხასიათს ატარებდა (თაყაიშვილი ე. 1907, 63).

1953 წელს სკრის ხეობაში იმყოფებოდა აკად. ს. ჯანაშიას სახ.სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია, რომელმაც აღწერა ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლები. ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს აღწერილი ძეგლების ნაწილი უკვე დაზიანებული იყო. ორი საფორტიფიკაციო და ორი საკულტო ძეგლის აღწერილობანი გამოქვეყნდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მოამბეში.[1]

კოშკების ღვთისმშობლის ეკლესია სოფლის ჩრდილო განაპირა მომაღლო ბორცვზე მდებარეობს. იგი ორი განსხვავებული ნაგებობისაგან შედგება-ჩრდილოეთით მდებარე შედარებით დიდი ზომის ეკლესია გაცილებით ძველია, ხოლო სამხრეთით მდებარე შედარებით გვიანდელი და მცირე ზომის ეკვდერია, რომელსაც კარიბჭე და სამრეკლო ჰქონია. 1920 წლის გორის ცნობილმა მიწისძვრამ ისტორიული ძეგლი საკმაოდ დააზიანა, მთლიანად ჩამოიქცა ცენტრალური კამარა. ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის დროს ეკლესია მთელი ყოფილა. მკვლევარი მას ღვთისმშობლის ეკლესიად იხსენიებს და წერს: ,,სკრის წყლის მარცხენა ნაპირზე... არის საკმაოთ დიდი ეკლესია ღვთისმშობლისა. ფერდობი, რომელზედაც ეკლესია არის აშენებული, განგებ გასწორებულია და სამი მხრით ქვის კედელი აქვს ამოყვანილი. საყდარი ფიქალი ქვისგანაა ნაშენი. კარები ჰქონია სამი-სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, უკანასკნელი ამოშენებულია (თაყაიშვილი ე. 1907, 63). ეკლესიას თავდაპირველად სამივე მხარეს ჰქონია მიშენება, რომლებიც დღეისათვის მთლიანად მიწითაა დაფარული. კამარა დაყრდნობილი ყოფილა დარბაზის შუაზე გამავალ თაღზე. განათება ხდებოდა ოთხი სარკმლით. ერთი სარკმელი დაიგმანა შალიკაშვილების ეკვდერის აშენების შემდეგ. აფსიდის ცენტრშიც სარკმელი ყოფილა მოთავსებული, რაც ნიშანდობლივია X საუკუნის მსგავსი ძეგლების არქიტექტურისთვის. კანკელის წინ მარცხენა ნაწილში მომაღლო ქვა დგას (70X50X45 სმ), რომლის ზედაპირი ჩაღრმავებულია. თაყაიშვილის დროს ეს ქვა მოხატული ყოფილა, მაგრამ დღეისათვის მოხატულობის კვალიც არაა შემორჩენილი. ფრესკების ნაშთები ჩანს ეკლესიის დასავლეთის კედელზე, ასევე, შედარებით გვიან აშენებული კანკელის ნაშთებზე. ექვთიმე თაყაიშვილის ყურადღება განსაკუთრებით ამ კანკელმა მიიპყრო: ,,..განსაკუთრებულს თვისებას ამ კანკელისას ის შეადგენს, რომ იქ კი არ იწყება და თავდება, სადაც საკურთხეველი იწყება, არამედ ცოტა ეკლესიისკენ არის გამოწეული... კანკელი სულ დახატული ყოფილა. ქვემოთ ხუთი წმინდანია სრული ტანით, ზემოთ თორმეტი წმინდანის სურათია წელს ზემოთ... უკეთაა დაცული სურათები შუა კარის თაღის ქვეშ კანკელისა, სადაც დახატულია იესო ქრისტე წელს ზემოთ ხუცური წარწერით: ი^ ʒ ქ ემნუელ, ,,იესო ქრისტე ემმანუელ“, მარჯვნივ გამოხატულია ლავრენტი, მარცხნივ წმინდა

1 აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მოამბე, ტ. XX-B, 1959

სტეფანე წარწერებით (თაყაიშვილი ე. 1907, 62).“ ექვთიმეს დროს ეკლესია მთელი ყოფილა: ,,ეკლესია მთელია, სახურავი ქვისა აქვს. დასავლეთის ეკვდერი ახლა დანგრეულია“ (თაყაიშვილი ე. 1907, 63გვ. 63). მოგზაურის დროს სამრეკლო უკვე აღარ არსებობდა. ექვთიმე თაყაიშვილი სამრეკლოს ნაშთებს ეკლესიის ეზოში ვარაუდობდა, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ სამრეკლო კარიბჭის თავზე იყო მოთავსებული. ამჟამად კანკელის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.

პ. ზაქარაია აღნიშნულ ეკლესიას მოიხსენიებს, როგორც შალიკაშვილების ეკლესია, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ შალიკაშვილები სკრის ხეობაში შედარებით გვიან მოსულები არიან, ხოლო ეკლესიის მთავარი ნაწილი X საუკუნითაა დათარიღებული და ღვთისმშობლის შობის სახელზეა აგებული. შალიკაშვილების ეკლესიას მკვლევარი იმ მოსაზრებით უწოდებს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვიანებით ნაგებობისთვის თავად შალიკაშვილებს საკუთარი საძვალე მიუშენებიათ და ზედ წარწერაც დაუტანებიათ თავიანთი სახელის უკვდავსაყოფად: ,,ქ:. ჩვენ ფრიად:. ცოდვილმნ:. და ყოვლის:. კაცის:. უნარჩევესმან:. შალიკაშვილმან:. ნაზირმ[ა]ნ:. ედიშერ:. აღვაშენე ეკუდერი:. კარის:. ბჭე:. და:. სამრეკლო:. ესე:. ჩემის:. მონაღვაწისა:. ფასით:. ჩვენთა: ცოდ[ვ]ათა: საოხად: და: ჩვენთა მიცვალებულთა: შესანდაობლად (sic): ვინცა:. აღმოიკითხვიდეთ:. შ[ე]ნდობას. ბრძანებდეთ:. ჩვენთა: მიცვალებ[უ]ლთათვის.

ქ. ამას ქვეშ ც[ო]ტა რამე გლეხის:. კ[ა]ცის: სასაფლ[ა]ო:. იყო:. დ[ა]:. ისიც იმათის ნებად[ა]რთულ[ო]ბით [მო]ვიყიდეთ დ[ა]ისე უმიზეზოთ დ[ა] ყოვლის კ[ა]ცის უცილებლად გავასრულ[ე]თ. ქკსა:. ტჟვ”. ამრიგად, წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ წარწერა შესრულებულია 1708 წელს.

როგორც წარწერიდან ირკვევა, ედიშერ შალიკაშვილს აქ აუგია ეკვდერი, კარიბჭე და სამრეკლო. სამრეკლო შემორჩენილი არ არის. როგორც პ. ზაქარაია ვარაუდობს, იგი უნდა მდგარიყო კარიბჭის თავზე, როგორც ეს მიღებული იყო XVII-XVIII საუკუნეების მსგავსი ძეგლებისთვის (მაგ. ხოფა, მუხრანი და სხვა).[1] წარწერაში ერთი საგულისხმო ფაქტია დადასტურებული, რომ იმ ადგილას, სადაც ედიშერ შალიკაშვილმა საგვარეულო ეკვდერი ააგო, ერთი ,,გლეხი კაცის“ სასაფლაო ყოფილა და ქტიტორს მისი მემკვიდრეებისგან შეუსყიდია ეს მიწის ფართობი, რომ შემდეგში მოდავე არავინ ჰყოლოდა. ან იმ მოსაზრებით, რომ ეკვდერის აგებით არავინ დაუჩაგრავს და უსამართლობა არ ჩაუდენია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტუფის კვადრი, რომელზეც წარწერის ეს მონაკვეთი სხვა ჩუქურთმასთან ერთადაა ამოკვეთილი, შესასვლელის ცენტრალურ ადგილზეა განლაგებული, რაც მაშინვე იპყრობს მნახველის ყურადღებას. ვფიქრობთ, ესეც საგანგებოდაა გაკეთებული. ეკლესიას სხვა სახელითაც იცნობენ ,,ტყუპის ეკლესია“, რაც გამოწვეული უნდა იყოს შენობის ორი ერთნაირი კონტურით აღმოსავლეთის მხრიდან - შალიკაშვილებმა ძველ ეკლესიას აღმოსავლეთის მხრიდან სწორედ მსგავსი კონსტრუქციის კედელი მიაშენეს, რათა პროპორცია არ დარღვეულიყო და შენობა ერთ მთლიან კომპლექსად აღქმულიყო. რაც შეეხება კარიბჭესა და ეკვდერს, ორივე მათგანი მშვენივრადაა შემონახული.

შალიკაშვილების საძვალე ეკვდერი მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს და გადახურულია ისრული ფორმის კამარით. დარბაზის შიდა კედლები დამუშავებულია ორ-ორი ღრმა თაღით. ყველა თაღი ისრისებული ფორმისაა და იმეორებს ამავე პერიოდის მსგავსი საკულტო ნაგებობების თაღების ფორმებს. ეკვდერის ჩრდილოეთ კედლად მშენებელმა გამოიყენა ძველი ეკლესიის სამხრეთი კედელი, ამისთვის სარკმელი ამოქოლა, რომელსაც ეკვდერის კედელი მიეყრდნო. ინტერიერში გამოირჩევა თაღები, პილასტრები, კაპიტელები, რომლებიც შემოსილია ღვინისფერი კვადრებით. აღსანიშნავია

[1] ზაქარაია პ., სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მოამბე, ტ. XX-B, 1959, გვ. 211

ისიც, რომ ე.წ. ,,ღვინისფერი ტუფის“ ქვის კარიერი ადგილობრივია და ახლომდებარე გორიჯვრის ფერდობზე მდებრეობდა. პილასტრების კაპიტელები დამუშავებულია, კუთხეები სამყურა ფოთლის მსგავსი დეკორითაა მორთული.

ეკვდერისა და ეკლესიის შესასვლელები კარიბჭეში გამოდის. კარიბჭის თაღები აგურითა და ღვინისფერი ტუფის კვადრებითაა ამოყვანილი. თითოეული ფასადი თითქოსდა ისრისებულ ჩარჩოშია ჩასმული. ისრული თაღები და სვეტები ღვინისფერი კვადრებითაა ნაშენი, გადახურვა სფეროსებურია და აგურითაა ამოყვანილი. საკმაოდ მდიდრულადაა დამუშავებული ეკვდერის პორტალი. მიუხედავად იმისა, რომ მორთულობა საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა ელემენტებს შეიცავს, იგი მაინც ერთ მთლიან სურათს ქმნის. პორტალს გარს შემოუყვება ვრცელი არშია, რომელიც თავისებურ ჩარჩოს ქმნის. ლენტოვანი წრეების არშია გრეხილი ორნამენტის სახითაა წარმოდგენილი. შუაში პროპორციულადაა ჩამჯდარი ეკვდერის ისრისებური თაღით დამშვენებული შესასვლელი კარი, რომელსაც გარს არშიასავით მიჰყვება მხედრული წარწერა. მორთულობაში გამოყენებულია ვაზის მტევნები და სამყურა, თუმცა ეტყობა, რომ ამ მორთულობისთვის ოსტატს დიდი გულისყური არ დაუთმია. ყურძნის მტევნების ორი წყვილიდან ერთი სანახევროდაა დამუშავებული და ერთ მათგანზე ყურძნის მარცვლები არაა დატანილი. ან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ მხარეს მხოლოდ ვაზის ფოთლების კომპოზიციაა. უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ორნამენტი დაუსრულებელია. ყურძნის ორივე აკიდო ჯვრის ჩუქურთმებს ერთვის. კარის ამყოლს ორ მწკრივად შემოჰყვება წარწერა-ერთი მთელ გაყოლებაზე, მეორე კი მხოლოდ ისრისებულ რკალს.

ეკვდერის აღმოსავლეთის ფასადი შედარებით მდიდრულადაა მორთული ტოლმკლავა ჯვრით, რომელიც კარგად დამუშავებული ღვინისფერი ტუფის ქვით დიდი ოსტატობითაა შესრულებული. ჩუქურთმის მოტივი შედგება ღაროვანი ლენტების ჯაჭვისაგან. ჯვრის განიერ მკლავებს ფართო მოჩუქურთმებული არშია მისდევს. წრიული ლენტების ღარში მრავალყურა როზეტია მოთავსებული და მშვენიერ სანახაობას ქმნის. ეკვდერი საბჭოთა საქართველოში ხორბლის საწყობად გადაკეთდა. კედლები კირით შეილესა და იატაკზე ბეტონის ფენა დაისხა. ამჟამად ეკვდერში საფლავების კვალიც არ არის შემორჩენილი. რაც შეეხება დანგრეული ეკლესიის ქვებს, იქვე გვერდით კოლმეურნეობის ფერმა აშენდა, სადაც აღნიშნული ქვები საშენ მასალად იქნა გამოყენებული. ამჟამად ფერმა აღარ არსებობს, თუმცა ქვების ნაწილი დაიკარგა ან მიწის ფენის ქვეშ მოჰყვა.

შალიკაშვილების საგვარეულო სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ ძლიერი იყო. ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ ნახევარში ოთარ შალიკაშვილი[1] იმდროინდელ პოლიტიკურ სარბიელზე ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენდა. მოგვიანებით, როდესაც ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგო სრულად იქნა დამორჩილებული, შალიკაშვილები სხვა ცნობილ ქართველ თავადებთან ერთად გამოეცალნენ ოსმალთა უღელს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დასახლდნენ. ერთი შტო ქართლში დასახლდა და ,,შეიქმნა

[1] ოთარ შალიკაშვილი იყო XVI საუკუნის შუა წლების მესხეთის დიდგვაროვანი ფეოდალი, ყვარყვარე III ათაბაგის პირველი ვეზირი. მურჯახეთის ბრძოლის (1535) შემდეგ ცდილობდა სამცხე-საათაბაგოს გაუქმებული სამთავროს აღდგენას და მცირეწლოვანი ქაიხოსრო ყვარყვარეს ძის ათაბაგად დამტკიცებას. ამ მიზნით, ოთარ შალიკაშვილი ოსმალეთში გაემგზავრა და სულთანს დახმარება სთხოვა ბაგრატ იმერთა მეფის წინააღმდეგ. 1543 წელს იგი და ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე ქარაქაღის ბრძოლაში ოსმალებს უჭერდნენ მხარს. სოხოისტის 1545 წლის ბრძოლაში ქართველების დამარცხების შემდეგ ოთარ შალიკაშვილის რჩევით, სამცხე-საათაბაგოს ციხეებში ოსმალებმა ჯარი ჩააყენეს, ქაიხოსრო ათაბაგად დაამტკიცეს და მეურვედ შალიკაშვილი დაუნიშნეს. შემდეგ შალიკაშვილის ასული ცოლად შეირთო შაჰ-თამაზმა. ოთარ შალიკაშვილის სიკვდილის შემდეგ შალიკაშვილებსა და ათაბაგებს შორის მტრული ურთიერთობა დამყარდა, რამაც დიდ ხანს გასტანა (დაწვრილებით იხ. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, წ. 1, მე-16 მე-16 საუკუნეები), თბ., 2009)

პატრონი სკრის ხეობისა“. შალიკაშვილებს სკრის ხეობაში სხვა ეკლესიაც აუშენებიათ იოანე ნათლისმცემლის სახელზე. იგი აგურით იყო აშენებული და ყავარით გადახურული დახვდა ექვთიმე თაყაიშვილს. ეკლესიის დასავლეთის მხარეზე პატარა სამრეკლო ჰქონდა, რომელზედაც პატარა ზარი იყო ჩამოკიდული. კანკელი ხისა იყო, ახალი მხატვრობით, სამხრეთის კარი ამოშენებული და მხოლოდ დასავლეთის კარი იყო შემორჩენილი. შესასვლელის ზემოთ დატანებული იყო ორი მოწითალო თლილი ქვა მხედრული წარწერებით. ექვთიმეს ერთი ქვა უკვე დაკარგული დახვდა, ხოლო მეორეზე შემდეგი წარწერა ამოიკითხა: ,,ო, წ ქ. ჩვენ:. ფრიად ცოდვილმ[ა]ნ ყ[ოვ]ელთა კ[ა]ცთა უნარჩვლმ [უნარჩევესმან] თვ[ი]თ დიდმ[ა]ნ სა[ა]თ[ა]ბ[ა]გ[ო]სა მყ[ო]ფმ[ა]ნ ს[ა]ქ[არ]თვ[ე]ლოში ჩ[ა]მ[ო]სულმ[ა]ნ რჯულის გულისთვის პატრ[ონ]მ[ა]ნ შ[ა]ლ[ი]კიშვ[ი]ლმ[ა]ნ ძემ[ა]ნ როჭიკისმ[ა]ნ დედისა ჩ[ე]მის არ[ა]გვის ერისთ[ა]ვის ასულის ბ[ატონი] დ[ა]რ[ე]ჯ[ა]ნის შ[ვი]ლმ[ა]ნ... {აღვაშენე საყდარი ეს}... სამწუხაროდ, ექვთიმეს დროსვე უკვე შეუძლებელი იყო ამ წარწერის სრული ტექსტის ნახვა. ეკლესიაში რამდენიმე საფლავი იყო შემორჩენილი, ძირითადად მე-19 საუკუნის. აქ იყვნენ დამარხულნი ნიკოლოზ შალიკაშვილის მეუღლე მარიამ სოლოღაშვილი (1830 წელს გარდაცვლილი), პორუჩიკი როსტომ შალიკაშვილი (1840 წელს გარდაცვლილი), მისი მეუღლე ბარბარე თუმანიშვილი (1874 წელს გარდაცვლილი), მათი შვილები: მიხეილ, ალექსანდრე და დიმიტრი და სხვა. ამჟამად არც ერთი საფლავის ქვა არ არის შემორჩენილი.

სკრის ხეობის არქიტექტურულ ძეგლებზე დატანებული წარწერები ცხადყოფს, რომ გვიანი შუასაუკუნეებისთვის ხეობას შალიკაშვილები ფლობენ. ისინი ,,გათათრების“ შიშით სამცხიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლდნენ. სკრის შალიკაშვილები ცდილობენ საბოლოოდ დამკვიდრდნენ ხეობაში, მოახდინონ ხეობაზე საკუთარი უფლების ლეგიტიმაცია. ამ მიზნით ააშენეს საგვარეულო სამლოცველო და შესაბამისი წარწერით უკვდავყვეს ხეობის ,,ბატონისა“ და ,,პატრონის“ სტატუსი. მოგვიანებით შალიკაშვილების სამფლობელოების ნაწილი ვალებში გაიყიდა, ნაწილი კი საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა და სახელმწიფო საკუთრებად აქცია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება,* IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: მეცნიერება.

თაყაიშვილი ე. (1907). *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი,* წიგნი 1, ტფილისი.

ზაქარაია პ. (1959). *სკრის ხეობის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი,* ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

ექვთიმე თაყაიშვილი, (1968). რჩეული ნაშრომები ტ. 1, თბილისი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა (1990). თბილისი: ქსე.

ჯავახიშვილი ნ. (1997). *შალიკაშვილები: (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელობა).* საქ. სახ. საზღვრის დაცვის სახ. დეპარტამენტი. - თბილისი

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (1964). წ. I, თბილისი:

ქართული სამართლის ძეგლები. (1970). ტ. 3, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ქართული სამართლის ძეგლები. (1972). ტ. 4, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (2015). V ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მზია სურგულაძემ. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

REFERENCES

bat'onishvili vakhusht'i. (1973). aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. *kartlis tskhovreba [Georgian chronicles].* IV. The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi: Metsniereba.

Tayaishvilie. (1907).arxeologiuri mogzaurobani da shenishvnani (Archaeological Travels and Notes), wigni1. Tfilisi.

Zaqaraia p. (1959). Skris xeobis ramdenime xurotmozgvruli zegli (Several architectural monuments of Skri Gorge). S. janashias sax. Saqartvelos saxelmwifo muzeumis moambe.

Ekvtime takaishvili, rcheuli nashromebi (Selected Papers), (1968), t.1, tbilisi.

Saqartvelos istoriisa da kulturis zeglta agweriloba (Description of historical and cultural monuments of Georgia). (1990). Tbilisi. Qse

Javaxishvili n. (1997)shalikashvilebi: fesvebi, tradiciebi, dgevandeloba (Shalikashvili: roots, traditions, present day). saq. sax. Sazgvris dacvis departamenti. Tbilisi.

Masalebi saqartvelos istoriuli geografiisa da toponimikisatvis. (Materials for historical geography and toponymy of Georgia) (1964).

Qartuli samartlis zeglebi (Georgian law documents). (1970). T.3.teqsti gamosca, gamokvleva da leqsikoni daurto i. dolizem. Tbilisi: saqartvelos ssr mecnierebata akademiis gamomcemloba.

Qartuli samartlis zeglebi (Georgian law documents). (1972). T.4.teqsti gamosca, gamokvleva da leqsikoni daurto i. dolizem. Tbilisi: saqartvelos ssr mecnierebata akademiis gamomcemloba.

pirta anotirebuli leqsikoni (Annotated Dictionary of Persons). (2015). V tomi sheadgina da redaqcia gauketa mzia surguladzem. Tbilisi: xelnawerta erovnuli centri.

ილუსტრაცია N1
კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის კარიბჭე

ილუსტრაცია N2
კოშკების ღვთისმშობლის სამხრეთი ფასადი

ილუსტრაცია N3
შალიკაშვილების ეკვდერის წარწერა



ილუსტრაცია N4
კოშკების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია

ილუსტრაცია N5
კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის ფრესკები

ილუსტრაცია N6
კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებით

ილუსტრაცია N7
კოშკების ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთი ფასადი კარიბჭისა და სამრეკლოს ნაშთით